ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N12

ქ.თბილისი

9 თებერვალი, 2018 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
ლევან დავითაშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ფრიდონ ინჯია
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
ირაკლი ნადირაძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ხაბეიშვილი
ლევან ჯაფარიძე
ქეთევან ჯოხაძე
ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
თემურ გორგაძე
ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
თევდორე ისაკაძე
ანა ლაშხი
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
დათო ჟღენტი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
თარაშ შურღაია
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ილია ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ილია ელოშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი თამარ მათიაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ წარმომადგენელი თამარ კაციტაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ილია ელოშვილი

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

3. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე
თანამომხსენებელი: თამარ მათიაშვილი

4. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 62 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.19.535) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე
თანამომხსენებელი: თამარ მათიაშვილი

5. „ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.16.02.029.015) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე
თანამომხსენებელი: თამარ მათიაშვილი

6. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

7. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი N106-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.16.002.137; N01.19.16.002.142) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N279 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

9. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სატელეფონო კავშირით სარგებლობის ხარჯების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N280 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ილია ელოშვილმა და აღნიშნა, რომ თბილისში მოქმედებს დაახლოებით 10000-მდე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, რომელიც, თვითმმართველობის მიმართულებით, მნიშვნელოვანი რგოლია იმისთვის, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან დაფინანსების მოპოვების ან თანადაფინანსების გზით, განხორციელდეს ისეთი პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს უკეთესი გარემოს და ინფრასტრუქტურის შექმნას, საკუთარი წითელი ხაზების ფარგლებში. დღემდე მოქმედი წესებისგან განსხვავებით, წარმოდგენილი პროექტით უფრო ეფექტური გახდება ამ მიმართულებით გაწეული ხარჯები, შემცირდება კორუფციის რისკები, გაუმჯობესდება შესრულებული სამუშაოების ხარისხი და უპასუხებს იმ ძირითად მოთხოვნას, რასაც ემსახურება ამხანაგობების ჩამოყალიბება - მოქალაქეების გააქტიურება და მეტი პასუხისმგებლობის აღება იმ გარემოზე, სადაც ცხოვრობს. წარმოდგენილი წესის მიხედვით, ამხანაგობის მხრიდან აღარ იქნება საჭირო თანადაფინანსება, რადგან პროექტს 100%-ით დააფინანსებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერია; თითოეული პროექტის განხორციელება მოხდება ზოგადი ტენდერების საშუალებით, რაც გამოიწვევს თანხების უფრო ეფექტურ და ეკონომიურ ხარჯვას; ამხანაგობამ, თვითდაფინანსების მიზნით, ანგარიშზე უნდა შეიტანოს განხორციელებული პროექტის ღირებულების 10%, რომელსაც მიმართავს საკუთარი ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობისთვის, მცირე ინფრასტრუქტურული ან ეკონომიკური პროექტების განხორციელებისთვის და ამხანაგობის თავმჯდომარის წახალისებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებით. ილია ელოშვილის თქმით, სასურველი ეფექტის მისაღწევად, საჭიროა მოსახლეობის სწორად ინფორმირება, რომ წარმოდგენილი სიახლეები ემსახურება მოქალაქეებსა და მუნიციპალიტეტს შორის თანამშრომლობის გააქტიურებას, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას უფრო ხარისხიანად და უფრო მოკლე ვადებში, ვიდრე ეს იყო აქამდე.

ელენე ოზაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ ამხანაგობის წევრი გამგეობაში წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, რომ არის სოციალურად დაუცველი, გათავისუფლდება საერთო ქონების ექსპლუატაციის ხარჯებისგან, თუმცა წესში მითითებული არ არის სარეიტინგო ქულა. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, მეტი სიცხადისთვის და გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილი ხომ არ იქნება დაკონკრეტდეს, თუ რამდენი ქულის მქონე სოციალურად დაუცველი პირები გათავისუფლდებიან აღნიშნული გადასახადისგან.

ილია ელოშვილმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში საუბარია თვითდაფინანსებაზე და შესაბამისად, ამხანაგობის თავმჯდომარეს და წევრებს აქვთ უფლება, ზემოთხსენებული გადასახადისგან გაათავისუფლონ ყველა, ვისაც მინიჭებული აქვს სოციალურად დაუცველის

სტატუსი და განხორციელებული პროექტის ღირებულების 10%-ში გათვალისწინებული არ იქნას მათი წილი.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხრიდან გამოიწვევს მეტ ჩართულობას, გამჭვირვალეობას, ღიაობას და მაქიმალურად შეამცირებს კითხვებს, რომლებიც წლების განმავლობაში არსებობდა ამ ინსტიტუტის მიმართ. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტი არის წინგადადგმული ნაბიჯი, რომელსაც მხარი უნდა დავუჭიროთ.

ლევან ჟორჟოლიანმა, ელენე ოზაშვილის შეკითხვაზე განმარტა, რომ წესში არსებული ჩანაწერით იგულისხმება სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანები, თუმცა ამხანაგობას ეძლევა საშუალება ასეთი ადამიანები ამორიცხოს ზემოთხსენებული გადასახადისგან. მან აქვე აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის რეკომენდაციით, დადგენილების პროექტს, სამართლებრივ საფუძვლებში, საქართველოს ორგანული კანონიდან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონიდან უნდა დაემატოს რამდენიმე მუხლი და ასევე, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რომელიც ემსახურება მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას მმართველობის პროცესში. ამავდროულად, მოსახლეობაში შეიქმნება საერთო, კერძო საკუთრების მოვლა-პატრონობის განცდის მყარი საფუძველი, შემცირდება საბიუჯეტო სახსრების არაოპტიმალურად და არამიზნობრივად ხარჯვის რისკები და შესრულებულ სამუშაოზე სრულ პასუხისმგებლობას აიღებს მუნიციპალიტეტი, უზრუნველყოფს მის დახვეწას და ხარისხის გაუმჯობესებას. ვახტანგ შაქარიშვილის თქმით, პროექტი იმსახურებს სრულ მხარდაჭერას და იმისთვის, რომ მიღწეული იქნას სასურველი ეფექტი და პროცესში საზოგადოების მაღალი ჩართულობა, საჭიროა მათი ინფორმირება მედია-კამპანიის საშუალებებით.

ილია ელოშვილი დაეთანხმა ვახტანგ შაქარიშვილს, რომ ამ პროცესში მოსახლეობის სწორი ინფორმირება და ჩართულობა მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნული პროექტი შეეხება თითოეულ ჩვენგანს.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიერ მოწონებული და მხარდაჭერილია, რადგან აღნიშნული რეფორმა ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იგი აქვე გამოეხმაურა თბილისის მერის ინიციატივას, რომ მნიშვნელოვანია, ამხანაგობა იყოს ძლიერი ინსტიტუტი იმ დროისთვის, როდესაც დაიწყება ეკოლოგიური და სხვა მიმართულებით არსებული პრობლემების მოგვარებისთვის პროექტების განხორციელება. მისი თქმით, წარმოდგენილი პროექტით გაიზრდება ამ მიმართულებით განხორციელებული დანახარჯების ეფექტურობა, გაიზრდება ეზოების და ზოგადად, ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის გაწეული დანახარჯები, რაშიც იგულისხმება ის 10%, რომელსაც მოსახლეობა განკარგავს თავისი შეხედულებისამებრ, თუმცა მიმართული იქნება საკუთარი გარემოს გაუმჯობესებისკენ. ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე პასუხისმგებლობას აიღებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და რაიონის გამგეობა და არა ამხანაგობის მიერ მოძიებული კერძო კომპანია, როგორც ეს იყო აქამდე და მათ მიერ უხარისხოდ შესრულებული სამუშაო, ხშირ შემთხვევაში, ისევ გამგეობის და მერიის მოსაგვარებელი ხდებოდა.

თამარ ტალიაშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ინფრასტრუქრული მიმართულებით არსებული პრობლემები დროულად გადაიჭრას, განხორციელდეს სხვადასხვა პროექტები და თანხები იქნას მიზნობრივად მიმართული.

მარიკა დარჩია დაეთანხმა ილია ელოშვილს, რომ თითოეული ჩვენგანი არის აღნიშნული პროცესის ნაწილი, ყველას სურვილია ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესება და ქალაქის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება მოსახლეობის სწორად

ინფორმირებას. მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ მრავალბინიანი სახლები, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთთან ძალიან მჭიდროდ არის მიბმული და დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელია, რომ სამომავლოდ ამხანაგობებმა შექმნან ასოციაციები ან გაერთიანებები, რაც უფრო ეფექტურს გახდის მათ მონაწილეობას პროცესში და ხელს შეუწყოს უფრო მასშტაბური და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას.

ილია ელოშვილმა აღნიშნა, რომ ამა თუ იმ პროექტის განხორციელება ხდება გარკვეულ წითელ ხაზებში და იქიდან გამომდინარე, რომ პრობლემები დარჩება იგივე, ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ იქნება უფრო მსხვილი ერთეულების შექმნა. ხოლო რაც შეეხება ასოციაციებს, ამხანაგობებს არ აქვთ ამ მიმართულებით შეზღუდვა, შეუძლიათ ჩამოყალიბდნენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ეცდებიან უფრო ეფექტურად აუხსნან როგორც მუნიციპალიტეტს, ასევე ბენეფიციარებს, თუ როგორი ფორმით თანამშრომლობა იქნება უფრო ეფექტური. ილია ელოშვილმა აქვე აღნიშნა, რომ ამ წესის მიზანია, რომ გარკვეული წლების შემდეგ, განსახორციელებელი პოექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტის და ამხანაგობების მხრიდან მოხდეს 50-50%-იანი თანამონაწილეობით.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ როდესაც საუბარია პროცესში მოსახლეობის მხრიდან ჩართულობის ამაღლებაზე და პროცესს შევხედავთ იმ კუთხით, რომ აქამდე საბიუჯეტო თანხას ვაძლევდით ამხანაგობას, რომელიც კარგად თუ ცუდად, მაგრამ თავად განკარგავდა, ეხლა კი ამ სამუშაოების შესრულებას ვაპირებთ ცენტრალური სატენდერო გზით, ამან შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის არათუ გააქტიურება, არამედ პირიქით - მათ ჩამოშორება ამ პროცესებიდან და დაინტერესდა, წარმოდგენილ პროექტში არის თუ არა მოსახლეობის მხრიდან მონიტორინგის მექანიზმი, რადგან არის საშიშროება, რომ მათ გამოთქვან უკმაყოფილება შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

ილია ელოშვილმა აღნიშნა, რომ აქამდე არ იყო მოსახლეობის ჩართულობა, რადგან ამა თუ იმ პროექტის განხორციელებისთვის საჭირო საქმიანობით დაკავებული იყო მხოლოდ ამხანაგობის თავმჯდომარე, შესაძლებელია ისიც, რომ ამხანაგობის მიერ გასაწევი ხარჯი გაეწიათ კომპანიებს, რათა არ შექმნოდათ რაიმე დაბრკოლება. აქედან გამომდინარე, გააქტიურებული იყო კომპანიისა და ამხანაგობის თავმჯდომარის ალიანსი, რაც შეიცვლება წარმოდგენილი პროექტით, რადგან მოსახლეობა, რომელიც ამხანაგობის ანგარიშზე შეიტანს შესრულებული სამუშაოს ღირებულების 10%-ს, რომლითაც მოიპოვებს დაფინანსებას, იგრძნობს საკუთარ პასუხისმგებლობას როგორც პროექტის განხორციელებაზე, ასევე მისი ხარისხის კონტროლზე. რაც შეეხება შესრულებული სამუშაოს ხარისხს, იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობას ექნება ყოველდღიური შეხება პროექტის განხორციელებასთან და მას პროცესში ჩართვა შეუძლია ნებისმიერ ეტაპზე, დღეს წარმოდგენილი ფორმით შესრულებული სამუშაოები იქნება უფრო ეფექტური და ხარისხიანი.

დათო ჟღენტმა განაცხადა, რომ კარგი იქნება წარმოდგენილ წესში მიეთითოს საერთო ქონების ექსპლუატაციის ხარჯების გადახდისგან გათავისუფლებული სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანის სარეიტინგო ქულა, რადგან ერთმანეთისგან განსხვავდებიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველის სტასტუსის მქონე ადამიანები და შესაბამისად, უნდა მოხდეს მათი გამიჯვნა. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, მერია რატომ არის წესში სარეიტინგო ქულის მითითების წინააღმდეგი და ასევე, თუ რა იგულისხმება წესში არსებულ ჩანაწერში „განცხადება არ დაკმაყოფილდება, თუ შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან, ღირებულებიდან ან/და სხვა დასაბუთებული მიზეზებიდან გამომდინარე, მისი დაკმაყოფილება მიზანშეუწონელია“.

ილია ელოშვილმა, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანის სარეიტინგო ქულის წესში მითითებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამხანაგობას შეუძლია 10%-იანი შენატანიდან ამორიცხოს ამხანაგობის იმ წევრის წილი, რომელიც დარეგისტრირებულია მონაცემთა ბაზაში და არვითარი მნიშვნელობა არ აქვს სარეიტინგო ქულების რაოდენობას. რაც შეეხება დათო ჟღენტის მიერ ნახსენებ ჩანაწერს, განმარტა, რომ ტენდერები ჩაშლილია ექვს სხვადასხვა კატეგორიად და მიუხედავად იმისა, რომ გამგებელს, განსაკუთრებულ

შემთხვევებში, შეუძლია დაუშვას გამონაკლისი, როდესაც ამხანაგობის თავმჯდომარე გამგეობაში წარადგენს განცხადებას, მასში მითითებული პრობლემა უნდა იყოს ზემოთაღნიშნულ ექვს პუნქტში და მიეკუთვნებოდეს დასაფინანსებელ პრიორიტეტებს.

რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ პირველ ყოვლისა, აღსანიშნავი და მისასალმებელია ის ფაქტი, რომ განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით ჩატარდება ტენდერები. რაც შეეხება დათო ჟღენტის მოსაზრებას სოციალურ სტატუსთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი ენიჭება მოქალაქეს, რომელიც მიმართავს სააგენტოს და ეს უკანასკნელი განუსაზღვრავს სარეიტინგო ქულას ნულიდან ორასი ათასამდე და ყველა ის ადამიანი, რომელიცა ორასი ათასამდე სარეიტინგო ქულით დარეგისტრირდება სოციალურ ბაზაში, ითვლება სოციალური სტატუსის მქონე პირად. რამინა ბერაძის თქმით, წარმოდგენილ წესში ასევე, მნიშვნელოვანი და მისასალმებელია ისიც, რომ ექსპლუატაციის ხარჯების გადახდისგან თავისუფლდებიან, როგორც სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე, ასევე იძულებით გადაადგილებული პირები.

გიორგი ბირბიჩაძემ ექსპლუატაციის ხარჯების გადახდისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ნებისმიერ ადამინს, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში, სარეიტინგო ქულების რაოდენობის მიუხედავად, შეუძლია მიმართოს გამგეობას და 10%-იან შენატანში არ შეიტანოს თავისი წილი გადასახადი, რაც ყველასთვის მისაღები უნდა იყოს.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დღემდე არსებული წესი იყო დასახვეწი და შესაცვლელი, რადგან იყო კორუფციის წყარო, რომელშიც ჩართულები იყვნენ, როგორც კონკრეტული ამხანაგობების თავმჯდომარეები, ასევე კომპანიები და რაიონული გამგეობები. თუმცა, წარმოდგენილ წესშიც ბევრი პრობლემებია, რადგან არსებობს იგივე რისკები, კერძოდ: როგორ იგეგმება ტენდერის გამოცხადება - მომართვის შემთხვევაში ერთ კონკრეტულ მოცულობაზე, თუ ტენდერი გამოცხადდება რაღაც გარკვეულ საერთო მოცულობაზე, რომელიც შემდგომ გადანაწილდება შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით; გაუგებარია წესში არსებული ჩანაწერი, რომ „განცხადება არ დაკმაყოფილდება, თუ შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან, ღირებულებიდან ან/და სხვა დასაბუთებული მიზეზებიდან გამომდინარე, მისი დაკმაყოფილება მიზანშეუწონელია“, რადგან ეხლა ღირებულებას ადგენს მერია; ასევე მნიშვნელოვანია, თუ როგორ განისაზღვრება საჭიროება - განცხადების წარდგენის რიგითობის მიხედვით, თუ რაიმე მექანიზმის საშუალებით; მართალია, კარგია შესრულებული სამუშაოს საერთო ღირებულების 10%-იანი შენატანის დაწესება, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია ამხანაგობის თავმჯდომარის წახალისების მიზნით, ხომ არ იქნება რისკი, რომ ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა მოხდეს პარტიული ნიშნით. ლევან ხაბეიშვილი ასევე, დაინტერესდა თუ რა რეაგირება აქვს ილია ელოშვილს იმასთან დაკავშირებით, რომ საბავშვო ბაღებში შეიტანეს 2017 წლის 31 აგვისტოთი დათარიღებული თევზი და შემდეგ, დირექტორებს სთხოვეს ეტიკეტებზე გაეკეთებინათ ახალი წარწერა.

ილია ელოშვილმა, ლევან ხაბეიშვილის მიერ დასმული კითხვებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დეტალურად ისაუბრა წესზე და განმარტა, რომ ყველა ამხანაგობის დარეგისტრირება მოხდება ხელახლა, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობა მოიწვევს კრებას და განსაზღვავს თუ ვინ იქნება ამხანაგობის თავმჯდომარე და აქედან გამომდინარე, ამხანაგობის წევრები გადაწყვეტენ, თუ რა ნიშნით უნდა იყოს არჩეული თავმჯდომარე და ლოგიკურია, რომ ეს ნიშანი იყოს არა პოლიტიკური, არამედ უფრო სამეურნეო მიმართულების. ამის შემდგომ იწყება მერიასთან ურთიერთობის პროცესი, რომელშიც ბიუჯეტირების წესი ფაქტობრივად რჩება უცვლელი, თუმცა ტენდერების ჩატარება გამოიწვევს დაახლოებით 20-30%-იან ეკონომიას. ასევე, არაფერი იცვლება და იგივე რჩება ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ რაიონულ გამგეობაში განცხადების წარდგენის პროცედურაში, ცვლილებები ეხება უკვე შემდგომ პროცედურებს, კერძოდ: გამგეობა, ექვსივე მიმართულებაზე, აცხადებს ზოგად ტენდერებს, სადაც კომპანიების შერჩევა მოხდება კრიტერიუმების, გამოცდილების და შესრულებული სამუშაოების ტიპის მიხედვით; მოცულობები და ფასები განსაზღვრული

იქნება წინა წელს შესრულებული მოცულობებიდან და გაწეული ხარჯებიდან გამომდინარე, რითიც უარეს შემთხვევაში, მივიღებთ იგივე ფასებს, ხოლო უკეთეს შემთხვევაში, დავზოგავთ თანხას; წარმოდგენილი პროექტით თავმჯდომარის მოვალეობა იქნება მხოლოდ პრობლემის დაფიქსირება და რაიონის გამგეობაში განცხადების წარდგენა, რის შემდეგაც გამგეობა ადგენს საკითხის პრობლემატურობას, განსაზღვრავს, პროექტი დასაფინანსებელია თუ არა და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საკითხი გადაეცემა საპროექტო კომპანიას, რომელიც ადგენს დეფექტურ აქტს და ახდენს პროექტირებას, რასაც ამოწმებს ლაბორატორია, რის შემდეგაც კონკრეტული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შედგენა ხდება ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ხარჯთაღრიცხვიდან გამომდინარე და ბოლოს, გამგეობის მიერ ამხანაგობის თავმჯდომარისთვის საბოლოო ხარჯთაღრიცხვის წარდგენის შემდეგ, ამხანაგობა ანგარიშზე შეიტანს შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 10%-ს, რის შემდეგაც განხორციელდება ეს თუ ის პროექტი. რაც შეეხება შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 10%-თან დაკავშირებულ კორუფციულ რისკებს, მერიის მიზანია პროექტი იყოს არა პოლიტიკურად ანგაჟირებული, არამედ არსებული პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ წესში განხორციელებული ცვლილებებით ამხანაგობების თავმჯდომარეებს აღარ მიეცემათ შესაძლებლობა აქედან ჰქონდეთ რაიმე სარგებელი და იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ადამიანი არ არის მზად იმისთვის, რომ საერთო საქმე გააკეთოს აბსოლუტურად უსასყიდლოდ და მხოლოდ საკუთარი ხარჯებით, ამხანაგობას აქვს შესაძლებლობა, თავმჯდომარეს, წახალისების მიზნით, აუნაზღაუროს ხარჯები 10%-იანი შენატანის 20%-ის ოდენობით. ილია ელოშვილმა აქვე განმარტება გააკეთა საბავშვო ბაღებში 2017 წლის 31 აგვისტოთი დათარიღებული თევზის შეტანასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოხდა ეტიკეტის არა შეცვლა, არამედ დამატება იქიდან გამომდინარე, რომ პროდუქტის გაყინვა მოხდა ორჯერ, რაც აბსოლუტურად ჯანმრთელი პროცესია, შეფუთვაზე თავიდანვე უნდა ყოფილიყო ორი თარიღი და განაცხადა, რომ აღნიშნული არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს აღსაზრდელებისთვის.

ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ აქამდე პროექტები ხორციელდებოდა მოსახლეობის თანადაფინანსებით 10-დან 40%-მდე, ხოლო დღეიდან თუ შესასრულებელ სამუშაოებს 100%-ით დააფინანსებს მერია, საჭირო გახდება თბილისის ბიუჯეტში ამ მიმართულებით დაფინანსების გაზრდა. იქიდან გამომდინარე, რომ ილია ელოშვილის თქმით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წესში ბიუჯეტირების წესი რჩება უცვლელი და ზემოთხსნებული თანხა დაიფარება ჩატარებული ტენდერების ეკონომიებით, განაცხადა - გამოდის, რომ წლების განმავლობაში ბიუჯეტის თანხები ამ მიმართულებით 10-დან 40%-მდე იფლანგებოდა.

ილია ელოშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სამუშაოების განხორციელება ტენდერების ჩატარების გზით გამოიწვევს ეკონომიებს და მერიის მიერ დასაფინანსებელი 100% იქნება იმ 60-დან 80%-მდე თანხაზე ნაკლები, ეს კი თავისთავად, ხელს შეუწყობს თანხების უფრო ეფექტურ ხარჯვას, რაც არ იყო აქამდე, თუმცა, თანხების არაეფექტური ხარჯვა არ ნიშნავს მათ ფლანგვას.

რევაზ სოხაძემ კომენტარი გააკეთა ლევან ხაბეიშვილის სიტყვებზე, რომ ამხანაგობის თავმჯდომარის წახალისების მიზნით არსებულმა დაფინანსებამ შესაძლებელია გამოიწვიოს იმის რისკი, რომ მისი არჩევა მოხდეს პარტიული ნიშნით და განაცხადა, რომ დღესაც, მის სამაჟორიტარო ოლქში ძალიან ბევრი ამხანაგობის თავმჯდომარე არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი, თუმცა ამის გამო მათ მიმართ არსდროს განხორციელებულა რაიმე სახის ზეწოლა და ეს ფაქტი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ უშლის ხელს, მათთან იქონიონ ნორმალური ურთიერთობა და თანამშრომლობა. აქედან გამომდინარე, განაცხადა, რომ „ამაზე სპეკულაცია არასერიოზულია“ და ქალაქისთვის გაკეთებულ სასიკეთო პროექტებს არ შეიძლება შეხედო მხოლოდ უარყოფითად.

ლევან ჟორჟოლიანმა, წარმოდგენილ პროექტან დაკავშირებით განაცხადა, რომ ერთ-ერთ ყველაზე პოზიტიურ ცვლილებას, რომელშიც გათვალისწინებულია, როგორც საზოგადოების და ამხანაგობების, ასევე მუნიციპალიტეტის, სოციალურად დაუცველი და დევნილი

მოქალაქეების ინტერესები, შეხედო უარყოფითი კუთხით, „მართლა რაღაც ნიჭი არის საჭირო“. ყველამ ვიცით, რომ აქამდე კომპანიები თავად იხდიდნენ ამხანაგობის მიერ გადასახდელ თანხას იმისთვის, რომ მერიიდან მიეღოთ თანადაფინანსება, თუმცა ეს არ არის კორუფცია, ეს არის ორ პირს შორის დადებული გარიგება, რომელიც არც კეთილსინდისიერია და არც სამართლებრივი. წარმოდგენილი პროექტით შემოთავაზებულია, რომ ეს ყველაფერი მოექცეს კანონის ჩარჩოში და მიღწეული იქნას მიზანი, რომ ადამიანებმა გაითავისონ, რომ ეზო და კორპუსი, სადაც ცხოვრობენ არის მათი და ამ მიმართულებით მივიდეთ განვითარების იმ დონემდე, რომ სამომავლოდ განსახორციელებელი პოექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტის და ამხანაგობების მხრიდან, მოხდეს 50-50%-იანი თანამონაწილეობით. ლევან ჟორჟოლიანმა, ამხანაგობის თავმჯდომარის წახალისების მიზნით არსებულ დაფინანსებაზე განმარტა, რომ ამ კუთხით გათვალისწინებულია 10%-იანი შენატანის 20%-მდე ოდენობით თანხა, რომლის გაცემაზეც გადაწყვეტილებას იღებს ამხანაგობის კრება.

თემურ გორგაძემ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, რა შეიძლება არ მოსწონდეს ადამიანს პროექტში, რომლის საფუძველზეც მოსახლეობისთვის საჭირო ამა თუ იმ პროექტს 100%-იანი დაფინანსებით განახორციელებს მუნიციპალიტეტი და პლუს ამას შესრულებული სამუშაოს საერთო ღირებულების 10% რჩება ამხანაგობის განკარგულებაში, რომელიც შესაძლებელია მოხმარდეს ისევ მათი ეზოს თუ კორპუსის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ილია ელოშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიღებით, ბინათმესაკუთრეთა ამახანაგობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა ფუნდამენტური ცვლილებები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და საკრებულოს წევრებს მადლობა გადაუხადა.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილების მიზანია მთავრობის სხდომების ელექტრონული პროგრამის დანერგვა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება, რომ მთავრობის სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, საკითხების ინიცირება და განხილვა მოხდეს ელექტრონული საშუალებით.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში, უნდა დაემატოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი, ასევე გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და მიეთითოს „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა თამარ მათიაშვილმა და განმარტა, რომ ცვლილების მიზანია წესიდან ამოღებული იქნას კონკრეტული ბანკის დასახელება, კერძოდ, სს „ლიბერთი ბანკი“ და მიეთითოს კომერციული ბანკი, რაც მომხმარებელს მისცემს შესაძლებლობას ბილინგის სისტემასთან დაკავშირებული მომსახურება მიიღოს ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 62 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.19.535) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა თამარ მათიაშვილმა და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ამხანაგობისთვის ვალდებულებით, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადაში, ტერიტორიაზე განთავსდება წყალმომარაგების ქსელისთვის გათვალისწინებული სატუმბი სადგური.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.16.02.029.015) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა თამარ მათიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია 8 ერთეული ფართის საკუთრებაში გადაცემა, იმ პირებისთვის, რომლებიც 2002-2005 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე მდებარე ფართებში.

ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ იმ 8 მოქალაქიდან, რომლებსაც საკუთრებაში გადაეცემა უძრავი ქონება, ერთ-ერთი პიროვნება რეგისტრირებულია კასპის რაიონში და დაინტერესდა, რის საფუძველზე გადაეცემა თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ადამიანს, რომელიც არ არის რეგისტრირებული თბილისში.

თამარ მათიაშვილმა განმარტა, რომ პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, უძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცემა ხდება იმ ადამიანებზე, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ფლობენ და სარგებლობენ ამა თუ იმ ფართით. რაც შეეხება რეგისტაციას, ამ კუთხით საკანონმდებლო შეზღუდვა არ არსებობს, რადგან რეგისტრაცია არ ნიშნავს საკუთრების არსებობას და საკუთრების უფლების წარმოშობის მიბმა რეგისტრაციაზე აღარ არსებობს 1997 წლიდან.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ წესი არ ითვალისწინებს თბილისში რეგისტრაციას და როდესაც ადამიანები გარკვეულ ქონებას ფლობენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მათთვის ამ ქონების გადაცემა სავსებით სამართლებრივია და შეესაბამება როგორც წესს, ასევე სამოქალაქო კოდექსს და ამასთან დაკავშირებულ ყველა საკანონმდებლო აქტს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

6. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორია იმიჯნება 40 სექტორად, საიდანაც 36 ნაკვეთზე გათვალისწინებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განთავსება, 3 ნაკვეთი გამოყენებული იქნება სარეკრეაციო ფუნქციით, ხოლო 1 - სატრანსპორტო ზონისთვის. დღეის მდგომარეობით ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 და საცხოვრებელი ზონა 3, ხოლო მცირე ნაკვეთზე ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია ზონის სტატუსის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1, სარეკრეაციო ზონა 2 და სატრანსპორტო ზონა 1-ით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი N106-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.16.002.137; N01.19.16.002.142) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ და განმარტა, რომ დაგეგმილია ტერიტორიის განვითარება საწარმოო ფუნქციით, კერძოდ, ჩიფსების და ფარმაცევტული საწარმოს და მათთვის განკუთვნილი ოფისებისა და დამხმარე შენობა-ნაგებობების მშენებლობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N279 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-8 და მე-9 საკითხებზე. განმარტა, რომ საკრებულოსა და საკრებულოს აპარატში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების და სატელეფონო კავშირით სარგებლობის შესახებ განკარგულებებში ცვლილებები განაპირობა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" განხორციელებულმა ცვლილებამ, რომლის საფუძველზეც საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები გახდნენ თანამდებობის პირები, რაც აისახა საკრებულოს რეგლამენტშიც. იქიდან გამომდინარე, რომ სტატუსი გულისხმობს შესაბამის ბენეფიტებს, ცვლილება შედის განკარგულებების დანართებში, რომლებითაც განსაზღვრულია სამსახურებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილი ავტომანქანების რაოდენობა, საწვავის ლიმიტი და მობილური ტელეფონებით სარგებლობისთვის გასაწევი ხარჯების ლიმიტი. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ხორციელდება ამ მიმართულებით გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, რადგან თანხები გადანაწილებულია სხვა თანამდებობის პირებისთვის განკუთვნილი ლიმიტების დაკლების ხარჯზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სატელეფონო კავშირით სარგებლობის ხარჯების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N280 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 3 დადგენილება და 6 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე — გიორგი ახვლედიანი